

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი №31, 24 ივლისი, 1997წ.) 172-ე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. თუ ადგილი აქვს საკუთრების ხელყოფას ან სხვაგვარ ხელშეშლას უძრავი ნივთის მიმართ, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შეშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან – კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი